

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27  
2022 წლის 22 დეკემბერი

ქ. სიღნაღი

**სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 91 -ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის №13 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 24/12/2022, 190020020.35.168.016334).

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ჯანიკაშვილი

დანართი

**სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი**

**თავი I**

**სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები**

**მუხლი 1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	24,865.0	26,768.9	21,931.1	6,962.5	14,968.6
გადასახადები	9,326.2	11,590.0	13,275.4		13,275.4
გრანტები	14,775.9	14,707.3	7,948.1	6,962.5	985.6
სხვა შემოსავლები	762.9	471.6	707.6		707.6
ხარჯები	9,314.4	13,434.0	15,116.4	307.8	15,808.6



შრომის ანაზღაურება	1,619.5	2,845.8	3,290.4		3,290.4
საქონელი და მომსახურება	1,424.4	1,732.5	2,151.4	307.8	1,843.6
პროცენტი	121.7	120.6	120.6		120.6
სუბსიდიები	4,712.7	6,335.7	7,557.6		7,557.6
გრანტები	16.1	97.2	120.0		120.0
სოციალური უზრუნველყოფა	606.4	734.8	820.7		820.7
სხვა ხარჯები	813.6	1,567.4	1,055.7		1,055.7
საოპერაციო სალდო	15,550.6	13,334.9	6,814.7	6,654.7	160.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9,299.7	22,173.9	15,049.8	11,668.0	3,381.8
ზრდა	10,520.5	25,295.9	18,281.8	11,668.0	6,613.8
კლება	1,220.8	3,122.0	3,232.0		3,232.0
მთლიანი სალდო	6,250.9	-8,839.0	-8,235.1	-5,013.3	-3,221.8
ფინანსური აქტივების ცვლილება	6,022.4	-9,095.5	-8,491.6	-5,013.3	-3,478.3
ზრდა	6,022.4				
ვალუტა და დეპოზიტები	6,022.4				
კლება		9,095.5	8,491.6	5,013.3	3,478.3
ვალუტა და დეპოზიტები			8,491.6	5,013.3	3,478.3
ვალდებულებების ცვლილება	-226.0	-256.5	-256.5		-256.5
კლება	226.0	256.5	256.5		256.5
საშინაო	226.0	256.5	256.5		256.5
ბალანსი	0.0	0.0			0.0

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 მარტის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 29.03.2023 წ.  
სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 01.06.2023 წ.  
სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 ივნისის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 30.06.2023 წ.

**მუხლი 2. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები**

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 25,163.1 ათასი ლარით თანდართული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა		
			სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	26,085.8	29,890.9	25,163.1	6,962.5	18,200.6



შემოსავლები	24,865.0	26,768.9	21,931.1	6,962.5	14,968.6
არაფინანსური აქტივების კლება	1,220.8	3,122.0	3,232.0		3,232.0

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 მარტის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 29.03.2023 წ.

### მუხლი 3. სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 13,275.4 ათასი ლარით თანდართული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი		
			სულ	სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	9,326.2	11,405.0	13,275.4		13,275.4
დღგ	5,607.5	7,375.0	9,225.4		9,225.4
საშემოსავლო გადასახადი					
ქონების გადასახადი	3,718.7	4,030.0	4,050.0		4,050.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	886.9	1,590.0	1,400.0		1,400.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	20.7	15.0	15.0		15.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე					
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	20.7	15.0	15.0		15.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	2,683.7	2,305.0	2,515.0		2,515.0
ფიზიკური პირებიდან	1,764.6	1,890.0	1,800.0		1,800.0
იურიდიული პირებიდან	919.1	415.0	715.0		715.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	127.4	120.0	120.0		120.0



ფიზიკური პირებიდან	46.6				
იურიდიული პირებიდან	80.8	120.0	120.0		120.0

**მუხლი 4. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 7,948.1 ათასი ლარით თანდართული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა		
			სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	14,775.9	14,707.3	7,948.1	6,962.5	985.6
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	14,775.9	14,707.3	7,948.1	6,962.5	985.6
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	367.3	710.1	1,293.4	307.8	985.6
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	367.3	710.1	1,293.4	307.8	985.6
ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად					
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	14,408.6	13,997.2	6,654.7	6,654.7	
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	10,683.4	9,103.5	5,187.3	5,187.3	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	340.0	340.0	340.0	340.0	
მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდი	1,497.9	416.1	1,127.4	1,127.4	
სპეციალური ტრანსფერი		22.0			
სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	1,887.3	4,115.6			

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 მარტის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 29.03.2023 წ.

**მუხლი 5. სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 707.6 ათასი ლარით



თანდართული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი		
			სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	762.9	471.6	707.6		707.6
შემოსავლები საკუთრებიდან	232.0	175.5	288.0		288.0
პროცენტები	131.5	80.0	230.0		230.0
რენტა	100.5	95.5	58.0		58.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	35.5	25.0	30.0		30.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	65.0	70.5	28.0		28.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	189.1	116.1	132.6		132.6
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	116.2	49.4	60.6		60.6
სანებართვო მოსაკრებელი	91.0	25.0	30.0		30.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0				
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	0.4	0.6		0.6
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0	0	0		0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	25.2	24.0	30.0		30.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი					
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	72.9	66.7	72.0		72.0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	6.0				



შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	66.9	66.7	72.0	72.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	169.4	180.0	180.0	180.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	172.4		107.0	107.0

**მუხლი 6. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრიტერიუმში თანდართული ცხრილის შესაბამისად:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის	
					სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,574.5	4,552.7	5,254.7		5,254.7
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,410.1	4,327.5	5,009.1		5,009.1
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,410.1	4,277.5	4,959.1		4,959.1
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა		50,0	50,0		50,0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	4.2	7.4	5.0		5.0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	4.2	7.4	5.0		5.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	124.0	120.6	120.6		120.6
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	36.2	97.2	120.0		120.0



702	თავდაცვა	99,3	141.7	185.0		185.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	8,615.1	18,955.5	13,899.1	9,281.5	4,617.6
7045	ტრანსპორტი	8,615.1	18,955.5	13,899.1	9,281.5	4,617.6
70451	სავტომობილო ტრანსპორტი და გზები	8,615.1	18,955.5	13,899.1	9,281.5	4,617.6
705	გარემოს დაცვა	1,198.0	1,128.0	1,178.0		1,178.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	729.1	990.4	1,148.0		1,148.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	468.9	137.6	30.0		30.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2,299.2	5,960.4	4,315.4	1,148.1	3,167.3
7061	ბინათმშენებლობა	651.6	1,227.3	726.5	44.5	682.0
7063	წყალმომარაგება	548.5	495.3	532.3		532.3
7064	გარე განათება	563.1	713.7	596.4		596.4
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	527.1	3,524.1	2,460.2	1,103.6	1,356.6
707	ჯანმრთელობის დაცვა	72.4	69.2	200.0		200.0
7072	ამბულატორიული მომსახურება	8.4	0.2			
70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება	8.4	0.2			
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	64.0	69.0	200.0		200.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,449.9	2,623.2	2,941.9	717.9	2,224.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	513.5	1,221.8	1,220.9	717.9	503.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	802.6	1,123.0	1,473.4		1,473.4
7083	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	10.0	22.3	20.6		20.6
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	123.8	256.1	227.0		227.0
709	განათლება	2,690.3	4,058.0	4,146.4	828.3	3,318.1
7091	სკოლამდელი აღზრდა	2,257.3	3,285.6	3,342.4	151.4	3,191.0



7092	ზოგადი განათლება	358.2	677.5	676.9	676.9	
70923	საშუალო ზოგადი განათლება	358.2	677.5	676.9	676.9	
7093	პროფესიული განათლება	74.8	94.9	127.1		127.1
710	სოციალური დაცვა	838.7	1,241.2	1,277.7		1,277.7
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	389.9	522.8	614.5		614.5
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	290.0	426.0	508.2		508.2
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	99.9	96.8	106.3		106.3
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	18.2	40.6	34.0		34.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	2.1	76.0	63.0		63.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	428.5	601.8	566.2		566.2
	სულ	19,837.4	38,729.9	33,398.2	11,975.8	21,422.4

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 მარტის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 29.03.2023 წ.  
 სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 01.06.2023 წ.  
 სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 ივნისის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 30.06.2023 წ.

**მუხლი 7. სიღნაღის მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 15,731.8 ათასი ლარით, მათ შორის:

- ა) განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 18,963.8 ათასი ლარით;
- ბ) განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების კლება 3,232.0 ათასი ლარით.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 მარტის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 29.03.2023 წ.

**მუხლი 8. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -8,235.1 ათასი ლარის ოდენობით.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 მარტის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 29.03.2023 წ.

**მუხლი 9. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -256,5 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით





მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განისაზღვროს სარეზერვო ფონდი 50.0 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 11. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 385.0 ათასი ლარი მიიძარტოს:

1. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 200.0 ათასი ლარი;
2. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 185.0 ათასი ლარი.

**თავი II  
სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

**მუხლი 12. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები თანდართული ცხრილის შესაბამისად:

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის	
					სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
	სიღნაღის მუნიციპალიტეტი	20,063.4	38,986.4	33,654.7	11,975.8	21,678.9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	146	147	147		147
	ხარჯები	9,314.4	13,434.1	15,116.4	307.8	14,808.6
	შრომის ანაზღაურება	1,619.5	2,845.8	3,290.4		3,290.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,523.0	25,295.9	18,281.8	11,668.0	6,613.8
	ვალდებულებების კლება	226.1	256.5	256.5		256.5
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2,800.5	4,809.2	5,511.2		5,511.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	137	138	138		138
	ხარჯები	2,489.0	3,975.5	4,705.5		4,705.5
	შრომის ანაზღაურება	1,530.1	2,714.1	3,135.0		3,135.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	85.5	577.2	549.2		549.2
	ვალდებულებების კლება	226.0	256.5	256.5		256.5
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	589.5	1,114.3	1,300.7		1,300.7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	32	33	33		33



	ხარჯები	589.5	1,103.9	1,285.2		1,285.2
	შრომის ანაზღაურება	445.5	811.0	919.0		919.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა		10.4	15.5		15.5
01 02	მუნიციპალიტეტის მერია	1,820.6	3,163.2	3,658.4		3,658.4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	105	105	105		105
	ხარჯები	1,735.1	2,596.4	3,124.7		3,124.7
	შრომის ანაზღაურება	1,084.6	1,903.1	2,216.0		2,216.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	85.5	566.8	533.7		533.7
01 03	სარეზერვო ფონდი		50.0	50.0		50.0
	ხარჯები		50.0	50.0		50.0
01 04	შესყიდვებთან (ტენდერი, აუქციონი და ა.შ.) დაკავშირებული ხარჯები	4.2	7.4	5.0		5.0
	ხარჯები	4.2	7.4	5.0		5.0
01 05	რეგიონული განვითარების ფონდი	36.2	97.2	120.0		120.0
	ხარჯები	36.2	97.2	120.0		120.0
01 06	მგფ-ისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა	350.0	377.1	377.1		377.1
	ხარჯები	124.0	120.6	120.6		120.6
	ვალდებულებების კლება	226.0	256.5	256.5		256.5
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	99.3	141.7	185.0		185.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	9.0	9.0	9.0		9.0
	ხარჯები	99.3	141.7	185.0		185.0
	შრომის ანაზღაურება	89.4	131.7	155.4		155.4
02 03	ქვეყნის თვდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	99.3	141.7	185.0		185.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	9.0	9.0	9.0		9.0
	ხარჯები	99.3	141.7	185.0		185.0
	შრომის ანაზღაურება	89.4	131.7	155.4		155.4
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა,	12,116.3	26,043.9	19,392.5	10,429.6	8,962.9



	რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია					
	ხარჯები	2,315.5	3,292.9	3,010.2		3,010.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,800.8	22,751.0	16,382.3	10,429.6	5,952.7
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	8,609.1	18,955.5	13,899.1	9,281.5	4,617.6
	ხარჯები	18.0	32.5	35.7		35.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8,591.1	18,923.0	13,863.4	9,281.5	4,581.7
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3,273.8	4,289.8	3,997.5	52.0	3,945.5
	ხარჯები	2,282.1	3,195.4	2,861.7		2,861.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	991.7	1,094.4	1,135.8	52.0	1,083.8
03 02 01	ბინათმშენებლობა	651.6	1,227.3	726.5	44.5	682.0
	ხარჯები	648.3	1,227.3	682.0		682.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა			44.5	44.5	
03 02 02	წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები	548.5	495.3	532.3		532.3
	ხარჯები	394.3	472.2	532.3		532.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	154.2	23.1			
03 02 03	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები	473.4	713.7	596.4		596.4
	ხარჯები	459.4	525.8	596.4		596.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	14.0	187.9			
03 02 04	გარემოს დაცვითი ღონისძიებები	1,198.0	1,128.0	1,178.0		1,178.0
	ხარჯები	755.3	967.5	1,051.0		1,051.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	442.7	160.5	127.0		127.0
03 02 06	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები	402.3	725.5	964.3	7.5	956.8
	ხარჯები	24.8	2.6			
	არაფინანსური აქტივების ზრდა	377.5	722.9	964.3	7.5	956.8
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	121.9	2,226.1	728.1	446.3	281.8



	ხარჯები					
	არაფინანსური აქტივების ზრდა	106,5	2,161.1	615.3	446,3	169.0
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	111.5	572.5	767.8	649.8	118.0
	ხარჯები					
	არაფინანსური აქტივების ზრდა	111.5	572.5	767.8	649.8	118.0
04 00	განათლება	2,690.3	4,058.0	4,146.4	828.3	3,318.1
	ხარჯები	2,339.7	3,135.3	3,554.9	307.8	3,247.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	350.6	922.7	591.5	520.5	71.0
04 01	სკოლამდელი განათლება	2,172.5	2,813.0	3,120.0		3,120.0
	ხარჯები	2,040.8	2,813.0	3,120.0		3,120.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	131.7				
04 02	სკოლამდელი განათლების კაპიტალური ხარჯი	84.8	472.6	222.4	151.4	71.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	84.8	472.6	222.4	151.4	71.0
04 03	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	74.8	94.9	127.1		127.1
	ხარჯები	74.8	94.9	127.1		127.1
04 04	საჯარო სკოლების დაფინანსება	358,2	677.5	676.9	676.9	
	ხარჯები	224.1	227.4	307.8	307.8	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	134.1	450.1	369.1	369.1	
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1445.9	2,623.2	2,941.9	717.9	2,224.0
	ხარჯები	1170.7	1,690.4	2,183.1		2,183.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	275.2	932.8	758.8	717.9	40.9
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	509.5	1,221.8	1,220.9	717.9	503.0
	ხარჯები	240.2	334.0	463.9		463.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	269.3	887.8	757.0	717.9	39.1
05 01 01	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	240.2	334.0	463.9		463.9



	ხარჯები	240.2	334.0	463.9		463.9
05 01 02	სასპორტო სკოლის კაპიტალური ხარჯი	269.3	887.8	757.0	717.9	39.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	269.3	887.8	757.0	717.9	39.1
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	802.6	1,123.0	1,473.4		1,473.4
	ხარჯები	796.7	1,098.0	1,471.6		1,471.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5.9	25.0	1.8		1.8
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	802.6	1,123.0	1,473.4		1,473.4
	ხარჯები	796.7	1,098.0	1,471.6		1,471.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5.9	25.0	1.8		1.8
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა	103.8	236.1	207.0		207.0
	ხარჯები	103.8	216.1	207.0		207.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა		20.0			
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	20.0	20.0	20.0		20.0
	ხარჯები	20.0	20.0	20.0		20.0
05 05	საინფორმაციო ცენტრი	10.0	22.3	20.6		20.6
	ხარჯები	10.0	22.3	20.6		20.6
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	911.1	1,310.4	1,477.7		1,477.7
	ხარჯები	900.2	1,198.2	1,477.7		1,477.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10.9	112.1			
06 01	ჯანდაცვის პროგრამები	74.9	181.1	200.0		200.0
	ხარჯები	64.0	69.0	200.0		200.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10.9	112.2			
06 02	სოციალური პროგრამები	836.2	1,129.2	1,277.7		1,277.7
	ხარჯები	836.2	1,129.2	1,277.7		1,277.7
06 02 01	მოსახლეობის სამედიცინო დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის და მძიმე ქრონიკული დაავადების მქონე პირთა მატერიალური	389.9	522.8	614.5		614.5



	და სამედიცინო დახმარება				
	ხარჯები	389.9	522.8	614.5	614.5
06 02 02	მოსახლეობის სოციალური დახმარება	250.1	256.5	280.7	280.7
	ხარჯები	250.1	256.5	280.7	280.7
06 02 04	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	18.2	40.6	34.0	34.0
	ხარჯები	18.2	40.6	34.0	34.0
06 02 05	სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურება	0.8	1.0	1.0	1.0
	ხარჯები	0.8	1.0	1.0	1.0
06 02 07	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება	177.2	308.3	347.5	347.5
	ხარჯები	177.2	308.3	347.5	347.5
06 02 08	სოციალური მიზნის მქონე პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება			10.0	10.0
	ხარჯები			10.0	10.0

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 მარტის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 29.03.2023 წ.  
 სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 01.06.2023 წ.  
 სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 ივნისის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 30.06.2023 წ.

### თავი III

#### სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგი და ინდიკატორები

#### მუხლი 13. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

#### ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება (პროგრამული კოდი 02 03):

- ა) მიზანი: საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხელშეწყობა;
- ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის სიღნაღის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;
- გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგები: თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული გეგმის მაქსიმალური შესრულება, არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია;
- დ) შედეგების შეფასების ინდიკატორები: საქართველოს სამხედრო ძალებში ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობით შევსების მაღალი მაჩვენებელი, ახალგაზრდების სამხედრო-პატრიოტული თვითშეგნების დონის ამაღლება.

#### მუხლი 14. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და



ექსპლოატაციის ასიგნებები 5,318.3 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. ამავდროულად აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. პრიორიტეტების ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, კომუნალურ მეურნეობაში არსებული პრობლემების გადაჭრის ღონისძიებები, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მისი იერსახის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების ღონისძიებები. განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 01):

ა) გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 00 : ა.ა) მიზანი: სიღნაღის მუნიციპალიტეტის გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

ა.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული უკვე რეაბილიტირებული გზების მოვლა შენახვა, კვლავ გაგრძელდება სოფლის შიდა გზების მოხრეშვა, მოასფალტება, დაზიანებული ქვაფენილების და ტროტუარების აღდგენა-რეაბილიტაცია;

ა.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება, ეკონომიკური და ტურისტული ინტენსივობის ზრდა;

ა.დ) შეფასების ინდიკატორი: რეაბილიტირებული და ახალი გზების ზრდა, გადაადგილების დროისა და სატრანსპორტო ხარჯების შემცირება და ტურისტების რაოდენობა.

ბ) მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01 00):

ბ.ა) მიზანი: მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მგზავრთა გადაყვანისას მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა;

ბ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია ქალაქ წნორიდან სოფელ ილიაწმინდას და ერისიძედის მიმართულებით მარშრუტის მომსახურების თანადაფინანსება. აღნიშნული მომსახურებით უშუალოდ ისარგებლებენ სოფლების: ბოდბის, ილიაწმინდას, ბოდბისხევის, ერისიძედისა და ქალაქ წნორის მოსახლეობა;

ბ.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: ადგილობრივი მარშრუტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის შეღავათიანი ტარიფით სარგებლობა;

ბ.დ) შეფასების ინდიკატორი: მუნიციპალური ტრანსპორტით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა, გადაადგილების დროისა და სატრანსპორტო ხარჯების შემცირება.

2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სანიაღვრე არხების, გარე-განათების, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების არსებულის მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.

ა) წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02) :

ა.ა) მიზანი: სიღნაღის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისა და ორგანიზაციების ეკოლოგიურად სუფთა, გაფილტრული, ზედაპირული გრუნტის წყლების მოხვედრისგან დაცული სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფა, ქალაქებსა და სოფლებში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება;

ა.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებსა და ქალაქებში არსებული ჭაბურღილების მომსახურების და მოვლა-შენახვის სამუშაოები;

ა.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სასმელი წყლით



მომარაგების გაუმჯობესება და მოწესრიგებული საკანალიზაციო სისტემები;

ა.დ) შეფასების ინდიკატორი: სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა.

ბ) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03) :

ბ.ა) მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;

ბ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების არსებული ქსელების ექსპლოატაცია;

ბ.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: განათების ინტენსივობა, განათებულ ქუჩებში უსაფრთხო გადაადგილება და კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება;

ბ.დ) შეფასების ინდიკატორი: მუნიციპალიტეტის ქალაქებისა და სოფლების განათებული ქუჩების რაოდენობა.

გ) გარემოს დაცვითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04) :

გ.ა) საკანალიზაციო და წყალსადინარების სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები ( პროგრამული კოდი 03 02 04 00) :

გ.ა.ა) მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული და ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესება;

გ.ა.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება, ნარჩენების გატანა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-მოწესრიგება;

გ.ა.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: გაუმჯობესებული სანიტარული და ეკოლოგიური პირობები;

გ.ა.დ) შეფასების ინდიკატორი: საცხოვრებელი კორპუსებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების ჩამდინარე წყლების მართვა.

გ.ბ) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04 00) :

გ.ბ.ა) მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება;

გ.ბ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნაგავსაყრელების კეთილმოწყობის სამუშაოები, ქალაქებისა და სოფლების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და ადმინისტრაციული შენობის დაცვა-დასუფთავების ღონისძიებები;

გ.ბ.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება;

გ.ბ.დ) შეფასების ინდიკატორი: ტერიტორიის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის ინტენსიურობის ზრდა.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03) :

ა) მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა;

ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა, შადრევნების, დასასვენებელი პარკების, სკვერებისა და გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობა;

გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგები: ქალაქის იერსახის გაუმჯობესება, კეთილმოწყობილი გარემო, მოვლილი, გამწვანებული სკვერები და გაზონები, მოსახლეობის დასასვენებელი პირობების გაუმჯობესება;

დ) საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები: მოწესრიგებული შადრევნები, მოვლილი გამწვანება სკვერებსა თუ სხვადასხვა რეკრეაციულ ზონებში, რეაბილიტირებული და ახალი





ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა.

### **მუხლი 15. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის განათლების ასიგნებები 3,247.1 ათასი ლარის ოდენობით.

#### **1. ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება“ (პროგრამული კოდი 04 01):**

ა) მიზანი: საბავშვო ბაღების ფონქციონერებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა, სკოლამდელი განათლების ღიაობა და ხელმისაწვდომობა, მუნიციპალიტეტის ბაღებში სრულფასოვანი გარემოს ჩამოყალიბება;

ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებისა და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსება, საბავშვო ბაღების საქმიანობის ხელშეწყობა;

გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა; საბავშვო ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი;

დ) შეფასების ინდიკატორი: სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღების რაოდენობა; აღსაზრდელთა რაოდენობა.

#### **2. ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე დაწესებულების-მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“ (პროგრამული კოდი 04 03) :**

ა) მიზანი: თითოეული ბავშვისა და ახალგაზრდისათვის განათლებისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების, კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფა, თითოეული ბავშვისა და ახალგაზრდის მიერ საკუთარი საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, საზოგადოებრივი ინიციატივების გამოვლენა, მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლებისა და თანაბარ კონკურენტულ გარემოში ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა;

ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებად სხვადასხვა წრეებში გაერთიანებული მოსწავლისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფა, დაწესებულებაში დასაქმებული პედაგოგების ხელფასების დაფინანსება და ხელშეწყობა;

გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: გამოვლინდებიან ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები და სკოლები, მოსწავლეების მოტივაციის დონის ამაღლება;

დ) შეფასების ინდიკატორი: სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებულ კონკურსებში წარმატებულ მოსწავლეთა რაოდენობა.

### **მუხლი 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდების ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ აუცილებელია როგორც სპორტული, ასევე კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული გაგრძელების ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სპორტული და კულტურული ობიექტების მშენებლობა - რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებებისა და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობასა და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, ადგილობრივი ფოლკლორის დაცვას, აღორძინებასა და ღირსეულ გაგრძელებას.

#### **1. ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სამუსიკო (სახელოვნებო) სკოლების გაერთიანება“ (პროგრამული კოდი 05 02 02 00) :**

ა) მიზანი: პროგრამა მოიცავს სახელოვნებო განათლების ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია როგორც სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობაზე, ისე სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერაზე, მათ შორის: სასწავლო-შემოქმედებითი კუთხით პერსპექტიულ მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობაზე, საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერაზე, პედაგოგთა ხელშეწყობაზე;

ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: სახელოვნებო სკოლების გაერთიანებაში შემავალი სამუსიკო სკოლების 438 მოსწავლის შესაბამისი განათლების მისაღებად საჭირო პირობებით უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს აღნიშნულ დაწესებულებაში დასაქმებული პედაგოგების დაფინანსებასა და ხელშეწყობას, საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერას,



მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებას;

გ) **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** შესაბამისი ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა წარმოჩენა და მათი აქტიური ჩართვა შესაბამისი განათლების მისაღებად; მოზარდებში კულტურის დონის ამაღლება, მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში, ხელოვნებისა და ტრადიციების აღორძინება, კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში მიღწეული წარმატებები;

დ) **შეფასების ინდიკატორი:** ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა, კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა, სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული კონკურსებში წარმატებულ მოსწავლეთა რაოდენობა.

**2. ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრი“ (პროგრამული კოდი 05 02 01 00) :**

ა) **მიზანი:** სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების განვითარება და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება, ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება - პოპულარიზაცია;

ბ) **განსახორციელებელი ღონისძიებები:** მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების ხელშეწყობა, წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით და დაკომპლექტება ყველა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით. ბიბლიოთეკების მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვა და მომხმარებლებისათვის გაუმჯობესებული სერვისების შეთავაზება, საბიბლიოთეკო კვირეულის ჩატარება, ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმის ხელშეწყობა, არსებული ექსპონატების დაცვა და მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმა მუზეუმების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში;

გ) **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** მკითხველის დაინტერესების გზით მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა და მუზეუმების პოპულარიზაცია;

დ) **შეფასების ინდიკატორი:** ბიბლიოთეკებში მკითხველთა რაოდენობის ზრდა, საგანმანათლებლო-სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა, მუზეუმებში ვიზიტორთა, მოწყობილი გამოფენებისა და წარმოდგენილი ექსპოზიციების რაოდენობა.

**3. ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი“ (პროგრამული კოდი 05 01 02 00) :**

ა) **მიზანი:** განსაკუთრებული წარმატებების მქონე მოსწავლეების გამოვლენა და წახალისება;

ბ) **განსახორციელებელი ღონისძიებები:** კომპლექსური სასპორტო სკოლის 600 მოსწავლის შესაბამისი განათლების მისაღებად საჭირო პირობებით უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს აღნიშნულ დაწესებულებაში დასაქმებული პედაგოგების დაფინანსებას, სხვადასხვა სპორტული სექციების და კლუბების ფინანსურ მხარდაჭერას, სპორტსმენებისთვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების უზრუნველყოფას, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების განხორციელებას;

გ) **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;

დ) **შეფასების ინდიკატორი:** წარმატებულ სპორტსმენტა რაოდენობა.

**4. ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“ (პროგრამული კოდი 05 02 01 00) :**

ა) **მიზანი:** თეატრისა და კულტურის პოპულარიზაცია;

ბ) **განსახორციელებელი ღონისძიებები:** კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ქართული ხალხური სიმღერის ფოლკლორული ანსამბლის „მრავალჟამიერის“, ბავშვთა ხალხური სიმღერებისა და ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლების, ასევე კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული თეატრისთვის სხვადასხვა ღონისძიებებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად საჭირო პირობებით უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით სხვადასხვა გასართობი, სანახაობრივი ღონისძიებები და ქართული ფოლკლორის სადამოკები;

გ) **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ქართული ხალხური სიმღერის ფოლკლორული ანსამბლის „მრავალჟამიერის“, ბავშვთა ხალხური სიმღერებისა და ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლების სხვადასხვა ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე ქვეყნის გარეთ;

დ) **შეფასების ინდიკატორი:** ახალი სპექტაკლების რაოდენობის ზრდა და ხარისხობრივი მაჩვენებელი და მუნიციპალიტეტის ხელოვანთა მიღწევები.

**5. საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03) :**

ა) **მიზანი:** ზოგადად საზოგადოების კულტურულ შემეცნებითი დონის ამაღლება და ახალგაზრდა თაობაში შრომის, მართვის უნარ - ჩვევების გამომუშავება და მათი საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა;



ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (ტრენინგ-სემინარები, ფორუმები, სესიები, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, გასართობი თამაშები, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო კონკურსები, საერთაშორისო ფესტივალები და სხვა), შემოქმედი ახალგაზრდების შემოქმედების პოპულარიზაცია (გამოფენები, ლიტერატურული სადამოები, კონცერტები, ფესტივალები, სპექტაკლები და სხვა), ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრის ხელშეწყობა, ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება (ლაშქრობები, ექსკურსიები, შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, სპორტის ექსტრემალური სახეობების კვირეული, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრებში აქტიურად ჩართვა და სხვა); სიღნაღის საპატიო მოქალაქის, სიღნაღის საპატიო მეციხოვნის წოდების და ჯილდოს მინიჭება, როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქესა და განსაკუთრებულ შემთხვევებში მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელსაც თავისი საზოგადოებრივი, პროფესიული, სამეცნიერო ან/და სხვა საქმიანობით (მოღვაწეობით) აქვს: განსაკუთრებული დამსახურება საქართველოსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის წინაშე; მნიშვნელოვანი წვლილია შეტანილი სიღნაღის მუნიციპალიტეტის ან/და ქვეყნის წინსვლისა და განვითარების საქმეში, აგრეთვე მნიშვნელოვანი წვლილია შეტანილი სიღნაღის მუნიციპალიტეტის ან/და საქართველოს პოპულარიზაციის საქმეში.

გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: ხარისხობრივად და თვისობრივად მაღალ დონეზე განხორციელებული პროექტები, საზოგადოების და ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანი და ეფექტური გამოყენება და ახალგაზრდული ორგანიზაციების აქტივობების ზრდა, ახალგაზრდა თაობის აქტიურად ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში და მუნიციპალიტეტის განვითარების საქმეში.

დ) შეფასების ინდიკატორი: ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტების რაოდენობა, წარმატებული და ინიციატივიანი ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა, საზოგადოებრივად აქტიური, ინფორმირებული და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე ახალგაზრდობა.

## **მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 00)**

### **1. ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 01)**

ა) ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“ (პროგრამული; კოდი 06 01 02):

ა.ა) მიზანი: სიღნაღის მუნიციპალიტეტში ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების გაუმჯობესება;

ა.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები;

ა.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგები: მოსახლეობის დაცვა სხვადასხვა ინფექციურ დაავადებათა გავრცელებისგან;

### **2. სოციალური პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 00):**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, უსახლკაროდ დარჩენილთა სოციალური დაცვა (უსახლკაროთა ბინის ქირით და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა), დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების სექტორის განვითარების ხელშეწყობა და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის



მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ა) მოსახლეობის სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01 01):

ა.ა) მიზანი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება;

ა.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ან/და ფაქტობრივად მაცხოვრებელი მოქალაქეების დაფინანსება არაუმეტეს 1000 ლარისა.

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და მძიმე ქრონიკული დაავადების მქონე პირთა, უსინათლოთა, დაუნის სინდრომით და აუტიზმის სპექტრის მქონე პირთა, დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01 02):

ბ.ა) მიზანი: შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის და მძიმე ქრონიკული დაავადების მქონე პირთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება;

ბ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და მძიმე ქრონიკული დაავადების მქონე პირთა მატერიალური დახმარება.

გ) ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01 03):

გ.ა) მიზანი: ონკოლოგიური ავადმყოფების ხელშეწყობა და ადრეული დიაგნოსტიკა.

გ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: სტაციონალური (ოპერაცია, მკურნალობა), ამბულატორიული მკურნალობა (ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, სხივური თერაპია) და დიაგნოსტიკური კვლევები;

დ) ფენილკეტონურით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01 04):

დ.ა) მიზანი: ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია;

დ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა.

ე) ხანძრებისა და სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალისათვის ოჯახის დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02 01):

ე.ა) მიზანი: მინიმალური საცხოვრებელი პირობების აღდგენა;

ე.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: საცხოვრებელ სახლებზე მიყენებული ზარალისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება;

ვ) იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02 03):

ვ.ა) მიზანი: სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;

ვ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: ერთჯერადი მატერიალური დახმარება.

ზ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02 04):

ზ.ა) მიზანი: ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა და მათი ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

ზ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: ერთჯერადი მატერიალური დახმარება.

თ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლების მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანთა ელექტროენერჯის გადასახადის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 02 07):

თ.ა) მიზანი: ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა;

თ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: ელექტროენერჯის თანადაფინანსება.

ი) განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02 08):

ი.ა) მიზანი: სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

ი.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახებისა და გაჭირვებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება.

კ) სტუდენტების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02 09):

კ.ა) მიზანი: ობოლი და მრავალშვილიანი ოჯახების და სოციალურად დაუცველი სტუდენტების განათლების ხელშეწყობა;



კ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: ქვეპროგრამით გათვალისწინებულ სტუდენტებს დაუფინანსდებათ სწავლის გადასახადის 50% არაუმეტეს 1125 ლარისა;

ლ) სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 100 წლისა და 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02 10):

ლ.ა) მიზანი: ხანდაზმულთა დაბადების დღის აღნიშვნა;

ლ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: 100 წლის და 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა ფინანსური თანადგომა;

მ) უპატრონოდ დარჩენილი მარტოხელა მოქალაქეების დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 02 11):

მ.ა) მიზანი: უპატრონო გარდაცვლილის მიმართ პატივის მიგება;

მ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: გარდაცვლილის სარიტუალო მომსახურების დაფინანსება.

ნ) უსახლკაროდ დარჩენილთა სოციალური დაცვა (უსახლკაროთა ბინის ქირით და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა) (პროგრამული კოდი 06 02 02 12)

ნ.ა) მიზანი: უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა;

ნ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: უსახლკაროდ დარჩენილი მძიმე ეკონომიკურ პირობებში მცხოვრები ოჯახებისათვის ბინის ქირის გადახდა და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა.

ო) დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა (მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა) (პროგრამული კოდი 06 02 02 13):

ო.ა) მიზანი: მარტოხელა პენსიონერი, მრავალშვილიანი, შრომისუუნარო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, რომელთაც არ ჰყავთ მარჩენალი, მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა.

ო.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სარემონტო სამუშაოების განხორციელება.

პ) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 04):

პ.ა) მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა;

პ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ან/და ფაქტობრივად მცხოვრებელი ოჯახების სოციალური დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად ახალდაბადებულ პირველ და მეორე ბავშვზე დასახმარებლად თითოეულზე 200 ლარის ოდენობით.

ჟ) მარჩენალდაკარგულისა და მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04 01):

ჟ.ა) მიზანი: სოციალური პირობების გაუმჯობესება;

ჟ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: ერთჯერადი დახმარება.

რ) მინდობით აღზრდის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04 03):

რ.ა) მიზანი: დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა;

რ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მინდობით აღზრდის პროგრამის ფარგლებში ჩართულ ბენეფიციარების, რომელთაც მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს და მათთვის მინდობით აღზრდის პროგრამა დასრულდა, ფულადი დახმარება.

ს) ოჯახებში რეინტეგრირებული ბავშვების, ნათესაური მინდობით აღზრდის პროგრამით მოსარგებლეთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04 04):

ს.ა) მიზანი: ყოფითი პირობების გაუმჯობესება;

ს.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: რეინტეგრირებული ბავშვების, ნათესაური მინდობით აღზრდის პროგრამით მოსარგებლე ოჯახების მატერიალური დახმარება.

ტ) მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04 05):

ტ.ა) მიზანი: მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარება;

ტ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი დახმარება.



უ) სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 05):

უ.ა) მიზანი: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ოჯახებისათვის დახმარება, თანაგრძნობის გამოხატვა და პატივის მიცემა;

უ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურებისათვის დაფინანსება თითოეული გარდაცვლილის ოჯახზე 350 ლარის ოდენობით.

ფ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება (პროგრამული კოდი 06 02 07):

ფ.ა) მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული/ფაქტობრივად მაცხოვრებელი მოქალაქეების მიმღე სოციალური პირობების შემსუბუქება;

ფ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული/ფაქტობრივად მაცხოვრებელი მოქალაქეების კვებით უზრუნველყოფა.

ქ) სოციალური მიზნის მქონე პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06.02.08)

ქ.ა) მიზანი: სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული პროექტების შედეგად, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების (სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები/რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახები/პირები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ზრუნვის სისტემიდან გასული პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა მშობელი, ახალგაზრდები, მარტოხელა ხანდაზმული პირები, დედ-მამით ობოლი ბავშვები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირები, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები) სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ეკონომიკური გაძლიერება, პროფესიული გადამზადების ხელშეწყობა და მათი ადაპტაცია არსებულ გარემოში, ქართული არასამთავრობო და საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების სექტორის განვითარების ხელშეწყობათ

ღ) შშმ პირთა სადღეღამისო ცენტრების კომუნალური გადასახადების (ბუნებრივი აირის) სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06020105)

ღ.ა) მიზანი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური პირობების გაუმჯობესება;

ღ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: გათბობის სეზონზე კომუნალური გადასახადების (ბუნებრივი აირის) სუბსიდირება.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 მარტის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 29.03.2023 წ.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 01.06.2023 წ.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 ივნისის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 30.06.2023 წ.

